თერჯოლის მუნიციპლიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ნაციონალური მოძრაობის“-ს სხდომის

ო ქ მ ი № 6

ქ.თერჯოლა

3 ოქტომბერი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: კახა ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

1. რამინი რობაქიძე
2. დავით ცხადაძე

ფრაქციის წევრები:

1. კობა კირკიტაძე
2. მერაბ ბასილაძე
3. თამარ ახვლედიანი
4. ნატალია ასათიანი
5. ფრიდონ გვენეტაძე

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282327598 წერილი, 02.10.2023 წ);

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ”თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის N 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282327590 წერილი, 02.10.2023 წ);

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-2823275105 წერილი, 02.10.2023 წ);

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ. ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2823327613, 03.10.2023 წ.);

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282327143 წერილი, 28.09.2023 წ);

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282327143 წერილი, 28.09.2023 წ);

7. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -8 წინააღმდეგი - არცერთი.

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მომხსენებელმა, კახა ბუცხრიკიძემ ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები.

ფრაქციამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. აზრი გამოთქვა ფრაქციის ყველა წევრმა.

გადაწყვიტეს: ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს უჭერს მხოლოდ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომაზე გატანას შემდგომი რეაგირებისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს

თავმჯდომარე: / კ. ბუცხრიკიძე/